დამტკიცებულია
შპს სკოლა მილენიუმის
დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N 1/52 ბრძანებით

შპს სკოლა მილენიუმის

წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები
(დებულება)

2024 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს სკოლა მილენიუმში (შემდგომში სკოლა) წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს ამისთვის საჭირო წესებს.

მუხლი 2. დებულების მიზანი

დებულების მიზანია:

ა) სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;

ბ) სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

დ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

ე) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;

ვ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

მუხლი 3. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს შემდეგი წესები:

1.1. სკოლაში გაკვეთილების პერიოდში იკრძალება ხმაური.

1.2. დაუშვებელია კლასების თვითნებური დატოვება გაკვეთილის მიმდინარეობის პერიოდში.

1.3. დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე ადამიანის ღირსებისა და პატივის შემლახველი ნებისმიერი ქმედების ჩადენა.

1.4. დაუშვებელია ნებისმიერი სახის კონფლიქტის გაღვივება, წახალისება ან/და მასში ჩაბმა.

1.5. დაუშვებელია სკოლაში ალკოჰოლური, თუ ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ გამოცხადება, ნარკოტიკული და ალკოჰოლური ნივთიერებების მიღება.

1.6. დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ფეთქებადი, ნარკოტიკული საშუალებების, ყოველგვარი იარაღის შემოტანა.

2. სკოლა წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ადმინისტრაციის, დაცვის თანამშრომლის, სართულების მორიგეების, დისციპლინური კომიტეტისა და საგანგებო და ხანძარსაწინააღმდეგო სიტუაციებისთვის შექმნილი შტაბის მეშვეობით. მათ ევალებათ:

2.1. მატერიალური საშუალებების დაუზიანებლად გამოყენების კონტროლი;

2.2. მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის ურთიერთობის ჯანსაღად წარმართვის კონტროლი და უწესრიგობის შემთხვევაში პოზიტიური როლის შესრულება;

2.3. დაწესებულებაში შემომსვლელთა მდგომარეობის კონტროლი. არ დაუშვან სკოლის ტერიტორიაზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირების შემოსვლა;

2.4. წესრიგის დაცვა დერეფნებში გაკვეთილების მსვლელობისას და დასვენების დროს;

2.5. სკოლის ტერიტორიაზე კონფლიქტის შემთხვევაში გამოიძახონ საპატრულო სამსახური, რათა სკოლაში არ დაზიანდნენ მოსწავლეები და თანამშრომლები.

მუხლი 4. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო/პირები

1. სკოლაში წესრიგის დაცვის მექანიზმებს ახორციელებს ადმინისტრცია და დაცვის თანამშრომელი.

2. სკოლის ადმინისტრაცია და დაცვის თანამშრომელი მუშაობენ სასწავლო პერიოდში და მოწოდებული არიან დაიცვან მოსწავლეები, სკოლაში დასაქმებულები და სკოლის ქონება, უზრუნველყონ უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო და სასწავლო გარემო.

3. ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დაცვის თანამშრომელს უფლება აქვთ შეამოწმონ პირის პირადობის მოწმობა, გამოიკითხონ მისი სკოლასთან კავშირის შესახებ ინფორმაცია, სათანადო ეჭვის ან აშკარა გარეგნული ნიშნების არსებობის შემთხვევაში მოსთხოვონ პირს გარკვეული მოქმედებების შესრულება, მაგალითად სკოლის შენობის და ეზოს დატოვება, განსაკუთრებულ შემთხვევებში დაატოვებინონ შენობა ან მიიღონ ზომები წესრიგის დამრღვევი პირის სათანადო ორგანოებზე გადაცემისათვის.

4. და ვალდებულია უცხო პირთა შემოსვლა აღრიცხოს სპეციალურად განკუთვნილ ჟურნალში.

5. სკოლაში მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დაცვის თანამშრომელს სკოლაში მყოფი პირის მიერ სამართალდარღვევის, მათ შორის დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედების განხორციელების შესახებ. ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაცია ან/და დაცვის თანამშრომელი ვალდებულნი არიან დაუკავშირდნენ სათანადო ორგანოებს და მათ მოსვლამდე უზრუნველყონ წესრიგის დაცვა და მტკიცებულებათა დაცულობა.

6. ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დაცვის თანამშრომელს ევალებათ საგანგებო სიტუაციების დროს უხელმძღვანელონ შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს. საგანგებო სიტუაციად განიხილება ნებისმიერი დაუძლეველი ძალის ან ადამიანის მოქმედება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან ქონებას.

7. სკოლის შენობაში დაშვება თავისუფალია, გარდა სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევებისა.

8. ყველა პირი ვალდებულია დატოვოს შენობა სამუშაო საათების დასრულებისთანავე. განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გასცეს სიტყვიერი ან წერილობითი მითითება აღნიშნული რეჟიმისაგან გამონაკლისების დაშვების თაობაზე.

9. სკოლის შენობიდან მატერიალური ფასეულობების (გარდა ბიბლიოთეკის ბალანსზე რიცხული ბეჭდური და სხვა მასალებისა) გატანა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

10. წესრიგის დაცვის, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და შრომის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგის მიზნით, მოქმედებს სკოლაში შესვლის ელექტრონული საშვთა სისტემა;

11. წესრიგის დაცვისა და დარღვევათა პრევენციის მიზნით სკოლის შენობასა და პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ჩანაწერები ინახება მათ მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის ოთახში და მათი მესამე პირებზე გადაცემა (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემისა) დაუშვებელია.

12. დაუშვებელია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი აუდიტორიებსა და იმ ოთახებში, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

13. აკრძალულია დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი, ადვილად აალებადი ან ცივი იარაღით შესვლა. თუ პირს აქვს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ოფიციალური უფლება, ის შენობის დატოვებამდე უნდა ჩააბაროს ადმინისტრაციის შესაბამის პერსონალს ან/და დაცვის თანამშრომელს.

14. აკრძალულია სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის მიღება ან გადაადგილება ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების გახსნილი კონტეინერით (ქილა, ბოთლი და სხვა);

15. პირი, რომელიც იმყოფება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.

16. ამ მექანიზმით დადგენილი წესების დარღვევა მოსწავლის ან სკოლაში დასაქმებულის მიერ, წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესის დარღვევას და პირის მიმართ სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველია.

17. ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალი ან/და დაცვის თანამშრომელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე.

მუხლი 5. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112);

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი – 2 200 220;

გ) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი 08 00 00 00 88;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481.

2. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ტარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, სადაც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 6. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

2. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი;

3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა;

4. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

მუხლი 7. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. სკოლებში არსებობს ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეაგირების ერთგვაროვანი მექანიზმი;

3. სკოლა იყენებს კრიზისებზე (მათ შორის მოსწავლეებს შორის ძალადობაზე, ბულინგზე) რეაგირების ეფექტიან მექანიზმს.

მუხლი 8. ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები

1. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი.

2. სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

3. დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

მუხლი 9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და უსაფრთხოების სხვა ნორმების უზრუნველყოფა

1. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

2. სკოლას უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთან.

მუხლი 10. დებულებში ცვლილების შეტანა

1. წინამდებარე მექანიზმებს (დებულებას) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. მექანიზმების (დებულების) მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.